ხელშეკრულება №32

მომსახურების შესყიდვის შესახებ CPV – 79200000; 79212000

ქ. ბორჯომი **26 დეკემბერი 2019 წელი;**

ერთის მხრივ, შპს ”ჯიარ ბორჯომი-ბაკურიანი”, წარმოდგენილი მისი დირექტორის ემზარ შარიქაძის სახით (შემდგომში ”შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ, შპს „კომპაუდი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის ნუგზარ ხიჯაკაძის სახით (შემდგომში ”მიმწოდებელი”), ორივე ერთად წოდებულნი როგორც ”მხარეები”, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები:

1.1. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში-“ხელშეკრულება”) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე, მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” - ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. “შემსყიდველი” - ნიშნავს ორგანიზაციას (კომპანიას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას (შემდგომში - „კომპანია“.

1.4. “მომწოდებელი” - ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” - ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.6. „მომსახურება“– ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ტექნიკური დავალება“–ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული „ტექნიკური პირობები“.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შესასრულებელი და შესრულებული სამუშაოების შესახებ შედგენილი სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებების არსებულ ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენა/დადასტურება და საექსპერტო აუდიტორული დასკვნის მომზადება.

3. აუდიტორული მომსახურების პირობები:

3.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი საერთაშორისო აუდიტორული სტანდარტების, აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების, დებულებისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად.

3.2. მიმწოდებლის მიერ გაცემულ დასკვნას უნდა ახლდეს დეტალური ანგარიში, რომელიც შეიცავს ნაკლოვანების თუ დადებითი თვისებების აღწერას, ასევე არგუმენტირებულ მსჯელობას საგნის ღირებულებისა და გამოყენებულ მიდგომებისა და მეთოდოლოგიის შესახებ.

3.3. იმ შემთხვევაში თუ, შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ გაცემული დასკვნის შესაბამისად მოქმედების ან/და მიმწოდებლის მიერ საკუთარი მოვალეობების არასათანადოთ შესრულების შედეგად მიიღო ზიანი, ფინანსური, ქონებრივი ან სხვა სახის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და დამკვეთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

4. მომსახურების მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. მომსახურების გაწევის ადგილი: ბორჯომის რაიონი ან/და შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს მასშტაბით.

4.2. მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის ვადით ან/და სახელშეკრულებო ღირებულების ამოწურვამდე, რომელი გარემოებაც დადგება უფრო ადრე.

4.3. სამუშაოს შესრულების ადგილამდე მისვლას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

5. ხელშეკრულების ღირებულება და ანგრაშისწორების წესი

5.1. შესასრულებელი მომსახურების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 1890 (ათასრვაასოთხმოცდაათი) ლარს დღგ-ს გარეშე და 2230.80 (ორიათასორასოცდაათი ლარი და 80 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

5.2. ანგარიშსწორება მოხდება ცხრილი №1-ს შესაბამისად

ცხრილი №1

დასახელება	ღირებულება	პროცენტული განაკვეთი
ხარჯთაღიცხვა/ზედამხედველის დასკვნა	20000-მდე	1.2%
	20000-დან 100000-მდე	1 %

5.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.
5.4. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის „მიმწოდებელმა“ საანგარიშწორებო თვის მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე უნდა წარმოადგინოს - მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშები გაწეული მომსახურების შესახებ და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.
5.5. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.
5.6. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.
5.7. ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად კონკრეტული დაკვეთის შესრულების შესახებ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღების დადასტურების მიზნით, „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის ყოველთვიურად (ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე) ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი, რომელსაც ხელს აწერენ საამისოდ უფლებამოსილი პირები.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
7.3. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები სამუშაოს შესრულების გრაფიკში, მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.
7.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების სისტემატური შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
7.5. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ცალმხრივად;
7.6. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
7.7. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
7.8. პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელის შემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს გონივრულ ვადაში მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება შემსყიდველი კომპანიის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ.
9.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“, კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ

შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.

9.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9.4. „შემსყიდველის“ მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შპს „ჯიარ ბორჯომი-ბაკურიანის“ დირექტორი: ემზარ შარიქაძე (ხელშეკრულების ადმინისტრატორი) ტელ: 595 00 12 72 რომელიც ასევე უფლებამოსილია განახორციელოს კონკრეტული დაკვეთა, მიიღოს შესრულებული სამუშაო და ხელი მოაწეროს შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

10.1. დაუძლეველი ძალის გარდა (ფორს-მაჟორული გარემოება) ,,მიმწოდებელი“–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

10.2. ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 20%-ის ოდენობით;

10.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე „მიმწოდებელი“ გადაიხდის ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02%–ის ოდენობით.

10.4. იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, ,,შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები

11.1. შესასრულებელი და შესრულებული სამუშაოების შესახებ შედგენილი სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებების არსებულ ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენა/დადასტურება და საექსპერტო აუდიტორული დასკვნის მომზადების კონკრეტული დაკვეთა „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს „შემსყიდველის“ მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. შემსყიდველის მიერ მოთხოვნა შეიძლება განხორციელდეს როგორც წერილობითი, ასევე მიმწოდებლის ელ.ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინების სახით. მხარეთა შეთანხმებით ასევე შესაძლებელია დაკვეთა განხორციელდეს შემსყიდველის უფლებამოსილი პირის ზეპირი დავალების სახით, რომელიც შემდგომ უნდა გაფორმდეს წერილობით.

11.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს ხელმოწერის დღიდან და ძალაშია ხელშეკრულების 4.2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის დასრულებიდან 2 თვის განმავლობაში.

12. მხარეთა უფლება–მოვალეობები

12.1. ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

12.1.1. გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან“ მისთვის საჭირო ინფორმაცია;

12.1.2. ინსპექტირების შედეგად „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მიმწოდებელს მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ.

12.2. ,,შემსყიდველი“ ვალდებულია:

12.2.1. უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი“–ს მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

12.3. ,,მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

12.3.1. მოსთხოვოს ,,შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

12.4. ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია:

12.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

12.4.2. „შემსყიდველის“ მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგად „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ (გონივრულ ვადაში) უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ

გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

15.2. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება, შესწორება და დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

15.4. მხარეები ვალდებულები არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს რეკვიზიტის ნებისმიერ მონაცემის ცვლილების შესახებ.

მხარეთა რეკვიზიტები:

<u>„შემსყიდველი"</u>
შპს „ჯიარ ბორჯომი-ბაკურიანი"
ს /კ 426109052
მის: ქ. ბორჯომი,თორის ქუჩა №1
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი".
ბანკის კოდი: BAGAGE22.
ა/ა: GE10BG0000000552552400

ემზარ შარიქაძე

GR Borjomi-Bakuriani LLc
Digitally signed by GR Borjomi-Bakuriani LLc
Date: 2019.12.26 14:50:25 +04'00'

<u>„მიმწოდებელი"</u>
შპს „კომპაუდი"
ს/კ: 202385169
მის:აკაკი წერეთლის გამზირი #95ა
ელ. ფოსტა: compaudi@hotmail.com
საკონტაქტო ნომერი:2347619; 2352118
ბანკი: ბანკი: სს „საქართველოს ბანკი".
ბანკის კოდი: BAGAGE22.
ა/ა: GE62BG0000000192631800

ნუგზარ ხიჯაკაძე

Ltd Kompaudi
Digitally signed by Ltd Kompaudi
Date: 2019.12.26 15:18:33 +04'00'